კლასმა თავისი გაიტანა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 28 აპრილი.

"დინამო" (თბილისი) – "ფახთაქორი" (ტაშკენტი) 3:0 (0:0).

"დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

"ფახთაქორი": იანოვსკი, ბაიმეტოვი, ტურჩინენკო, მოგილნი, ამრიევი, ივანოვი (ნოვიკოვი), ნარტაჯიევი, პოსტნოვი, სემენკა, კუხლევსკი, კაბაევი.

მსაჯი: ა. შევჩენკო (მოსკოვი).

გაფრთხილებული არიან ყიფიანი, ბაიმეტოვი.

მატჩს დაესწრო 47.500 მაყურებელი.

ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება ტაშკენტელებთან ჩვენს გუნდს არ გასჭირვებია. ეს ერთ-ერთი იმ მატჩთაგანი იყო, როცა მცირე გამონაკლისის გარდა, ერთ-ერთი მხარე ცალ კარში თამაშობს. ცალ კარში სწორედ "დინამო" თამაშობდა, მაგრამ ამ "ცალი კარის" დალაშქვრა პირველ ტაიმში არ მოხერხდა.

"ფახთქორის" კარში დარტყმების სერია პირველ წუთებზე გახსნა შენგელიამ, რომელმაც ოდნავ ააცილა მიზანს ბურთი. შემდეგ, გარკვეული პერიოდულობით თბილისელები სისტემატურად გადიოდნენ მოპირდაპირე კარის სიახლოვეს და ასევე სისტემატურად აცდენდნენ კარს თავიანთ დარტყმებს. ალბათ, ადგილიც არ გვეყოფა, რომ ჩამოვთვალოთ ყველა მიზანს აცდენილი ეს დარტყმები. ვინ არ მოსინჯა ძალები, ვინ არ ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ ამაოდ. ამასთან საინტერესოა ისიც, რომ პირველი 45 წუთის განმავლობაში ტაშკენტელთა მეკარე იანოვსკი იშვიათად ებმებოდა თამაშში, ვინაიდან ბურთი მის სექტორსაც სცდებოდა.

ეს შეცდომები დინამოელებმა შესვენების შემდეგ გამოასწორეს და კარში დარტყმებს სიზუსტე მიეცა. ახლა უკვე უშუალოდ ჩაება საქმეში იანოვსკი, რომელიც განუწყვეტლივ იგერიებდა მეტოქის იერიშებს.

ანგარიში გაიხსნა 55-ე წუთზე: ყ;იფიანმა საუკეთესო გადაცემით გაიყვანა გარღვევაზე სულაქველიძე, რომელმაც დაასწრო მცველს და ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში - 1:0.

მომდევნო პერიოდში ყიფიანმა, სულაქველიძემ, გუცაევმა, სვანაძემ, დარასელიამ ვერ გამოიყენეს უაღრესად ხელსაყრელი მომენტები. მერე ჩივაძე წამოეხმარა წინა ხაზის მოთამაშეებს და 75-ე წუთზე საშუალო მანძილიდან აუღებელი ბურთი გაგზავნა სტუმრების კარში - 2:0.

გამარჯვებას წერტილი დაუსვა ყიფიანმა. მან ზუსტად გამოიყენა პენალტი, რომელიც შენგელიას წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დანიშნა ა. შევჩენკომ - 3:0. ახლა დ. ყიფიანს, როგორც იტყვიან, ერთი ნაბიჯი აკლია გ. ფედოტოვის სახელობის ასიანთა კლუბამდე - მის ანგარიშზეა 99 გოლი.

ბ. ქორქია.

"ლელო", 29 აპრილი 1981 წ.